სამედიცინო ნარჩენების მართვა

მოსე ბაღდინოვი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ეკოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი

პროგრამა - ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ზურაბ ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020

აბსტრაქტი

სამედიცინო ნარჩენების მართვას დიდი მნიშვნელობა აქვს, მისი სახიფათო და ინფექციური ბუნებიდან გამომდინარე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი შედეგები ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. სამედიცინო ნარჩენები წარმოიქმნება ყველა სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც გათვალისწინებულია (ადამიანის ან ცხოველის) პაციენტის მკურნალობა. განვითარებად ქვეყნებში სამედიცინო ნარჩენების მართვა გამოწვევების წინაშე დგას, რადგან არ არსებობს საკმარისი ფინანსები და ცნობიერება, მისი მართვის საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად. სამედიცინო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვების მიზნით, განხორციელდა ათ სამედიცინო დაწესებულებაში საველე კვლევა, ხოლო კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა 102 სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენელი. კვლევაში გამოყენებული კითხვები შეეხებოდა სამედიცინო ნარჩენების წარმოქმნას, სეპარირებას, შეგროვებას, შენახვას, ტრანსპორტირებას, სწავლებასა და პერსონალის უსაფრთხოებას. ასევე სამედიცინო პერსონალის ცნობიერების ამაღლების კუთხით ჩავატარე ტრენინგი, სადაც განხილული იყო სამედიცინო ნარჩენების მართვის საუკეთესო პრინციპები და ის საფრთხეები, რაც შეიძლება მისმა არასწორმა მართვამ წარმოშვას. კითხვარის და ინტერვიუების საშუალებით დადგინდა, რომ სამედიცინო დაწესებულებათა უმრავლესობისთვის ნარჩენების მართვა არ წარმოადგენს პრიორიტეტს, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა გამოიწვიოს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე.